სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/72

ქ. თბილისი 16 06 2020 წ.

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთათვის ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. 2020-2021 სასწავლო წელს სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ცალკეული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობების გათვალისწინებით, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთათვის ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების სათანადო დონეზე ჩატარების მიზნით შეიქმნას გასაუბრებისა და საპრეტენზიო კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების კომისია:

1. გიორგი სალუქვაძე – პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2. თამარ ჭანტურია – ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. ლევან ბერიძე – პროფესორი, კომისიის წევრი;
4. გია ნაცვლიშვილი – ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, კომისიის წევრი;
5. ბიძინა ბერიშვილი – ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი;
6. მაია სეხნიაშვილი – ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი;
7. მაკა გოცირიძე – უფროსი მასწავლებელი, კომისიის მდივანი.

ბ) საპრეტენზიო კომისია:

1. ვახტანგ ფირცხალავა – არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2. მარინე მაისურაძე – ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი;
3. თამაზ გოგოლაძე – ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი.

II. გასაუბრება ჩატარდეს 2020 წლის 17 ივნისიდან პირველი ივლისის ჩათვლით, ყოველდღე (კვირის გარდა), 11.00 საათიდან 18.00 საათამდე, მისამართზე: მ.კოსტავას ქუჩა №68, სტუ-ის პირველი კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი №402 (არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანატის მიმდებარე ტერიტორია).

III. ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი, შესრულებული ნამუშევრების პორტფოლიო, აგრეთვე თან უნდა იქონიონ პირბადე.

IV. გასაუბრების შედეგები გამოიკრას სტუ-ის პირველი კორპუსის შესასვლელში და გასაუბრების ჩატარების ადგილზე, აგრეთვე განთავსდეს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებგვერდებზე იმავე დღეს, 19.00 საათამდე.

V. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს გასაუბრების ჩატარების ადგილზე 2020 წლის 2 ივლისს, 10.00 საათიდან 15.00 საათამდე, ხოლო მათი განხილვა მოხდეს იქვე, 2020 წლის 3 ივლისს, 11.00 საათიდან 18.00 საათამდე.

VI. საბოლოო შედეგები გამოიკრას სტუ-ის პირველი კორპუსის შესასვლელში და გასაუბრების ჩატარების ადგილზე, აგრეთვე განთავსდეს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებგვერდებზე 2020 წლის 3 ივლისს, 19.00 საათამდე.

VII. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, სტუ-ის პირველი კორპუსის შესასვლელში და არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილებზე, აგრეთვე განთავსდეს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებგვერდებზე.

VIII. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

IX. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

X. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

რექტორი დავით გურგენიძე